ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობის (ს/კ N36.10.32.451) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ღორეშაში მდებარე შენობის 96.22 კვმ ფართის (ს/კ N36.06.32.341.01.501) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ხევში მდებარე ხევის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის (ს/კ 36.05.34.026) 6 თვის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს სსიპ.იუსტიციის სახლისთვის გადასცემად მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 22

დაბა ხარაგაული 2019 წლის 19 დეკემბერი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, მიხეილ ჭიპაშვილი, სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

ჯაბა ბერაძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი.

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამუნა მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

თეა ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი

ლაშა ნიქაბაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მოისმინეს საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული

შენობა- ნაგებობის (ს/კ N36.10.32.451) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ღორეშაში მდებარე შენობის 96.22 კვმ ფართის (ს/კ N36.06.32.341.01.501) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ხევში მდებარე ხევის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის (ს/კ 36.05.34.026) 6 თვის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს სსიპ.იუსტიციის სახლისთვის გადასცემად მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

მომხს: ჯაბა ბერაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ.ჭიპაშვილმა - რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე 2020 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის განხილვის მასალები სხდომის ოქმი თან ერთვის

მ.ფხალაძემ - რომელმაც აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურულ ნაწილში ბიუჯეტი არ არის პროგრამული, არ არის დაკონკრეტებული თუ რის გაკეთებას გეგმავს მერია ამა თუ იმ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელთან შედარებით თანხები ამ მიმართულებით მეტია მაინც კომისია თვლის, რომ ამ ნაწილში მუნიციპალიტეტის საჭიროებებს არ პასუხობს.

დ. კიკნაძემ - აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განვიხილეთ გაერთიანებული კომისიის სხდომაზე მიგვაჩნია, რომ გასულ წელთან შედარებით გაზრდილია დაფინანსება ბორის სკოლა პანსიონისა და სკოლამდელი განათლების კუთხით, რაც მისასალმებელია მხარს უჭერს აღნიშნულ პროექტს.

გ. თხელიძემ - აღნიშნა, რომ გაერთიანებული კომისიის სხდომაზე განვიხილეთ პროექტი, წინა წელთან შედარებით ხარჯები გაზრდილია, იგრძნობა სოციალური პროგრამების გამრავალფეროვნება და მხარს ვუჭერთ ბიუჯეტის მიმართ თავისი აზრი დააფიქსირეს ფრაქციის თავმჯდომარეებმა პ. გოგოლაძემ ,ი. მაღრაძემ , თ. ავალიშვილმა.

ი კელენჯერიძემ -აღნიშნა, რომ გულდასაწყვეტია სოფლის მეურნეობის დაფინანსების კუთხით ჩვენი ფრაქციის მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული, მიმაჩნია, საკრებულომ უნდა მოამზადოს წერილი და საკითხი დასვას მთავრობის წინაშე, რათა ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტში მევენახეობის განვითარებას და ამაში ხელშეწყობა ადგილობრივ ბიუჯეტს უნდა შეეძლოს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს ერთხელ კიდევ გააცნო 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და სთხოვა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი პროექტისათვის მუხლობრივად.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს 8 178.0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე -25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები **8 178.0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახადელები განისაზღვროს **8 178.0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახადები **8 178.0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის გრანტები **განისაზღვროს** 23.0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 52

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის გრანტები 23.0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1396.6 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე -25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1396.6 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვროს 140.0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა 3

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 140.0 ათასი ლარის ოდენობით.

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტი (თან ერთვის).

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობის (ს/კ N36.10.32.451) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ** (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს წევრი

მომხრე -

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ღორეშაში მდებარე შენობის 96.22 კვმ ფართის (ს/კ N36.06.32.341.01.501) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ (თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე - 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ხევში მდებარე ხევის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის (ს/კ 36.05.34.026) 6 თვის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს სსიპ.იუსტიციის სახლისთვის გადასცემად მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**
(თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე - 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე